პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 116 (4117)

1979 წლის 16 სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრეველმა იხსნა თავისი გუნდი

დევისის თასის გათამაშების ევროპული „ბ“ ზონის ნახევარფინალური მატჩის ბოლო 2 შეხვედრის წინ ანგარიში იყო 2:1 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ. და აი, გასულ შაბათს გაიმართა დასკვნითი შეხვედრები. საჭირო იყო მხოლოდ ერთი ორთაბრძოლის მოგება და სსრ კავშირის ნაკრებს ფინალის საგზური განაღდებული ექნებოდა. ამ ხანუკვარი ქულის მოპოვება თითქოს შეეძლო ლეიუსს, რადგან მისი მეტოქე წინა შეხვედრებში სუსტად თამაშობდა. მაგრამ ასე არ მოხდა. კუკალმა ამჯერად კარგად ჩაატარა მატჩი და გამარჯვებას მიაღწია — 3:0, 6:4, 6:2, 6:2. ახლა მატჩის ბედი მეტრეველისა და კოდეშის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა.

ერთი სიტყვით, გამეორდა ის, რაც მოხდა დევისის თასის გათამაშების პირველ წრეში, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. მაშინაც მატჩის უკანასკნელი შეხვედრის წინ ანგარიში იყო 2:2. მაშინაც მეტრეველმა ჯერ ერთეულთა შეხვედრაში, შემდეგ კი ლიხაჩოვთან ერთად წყვილების ორთაბრძოლაში იმარჯვა. მაშინ საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა ვ. კორეტკოვმა ერთეულთა ორივე შეხვედრა წააგო და, როცა მეტრეველმა გადამწყვეტ შეხვედრაში გაიმარჯვა, ერთმა ჟურნალისტმა ამ დრამატული მატჩისადმი მიძღვნილი ინფორმაცია ასე დაახასიათა: „ჩემპიონმა (ე. ი. მეტრეველმა) იხსნა დებიუტანტი“. როგორც იცით, ამჯერად საბჭოთა ნაკრებში დებიუტანტის ნაცვლად ბრძოლებში გამობრძმედილი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ვეტერანი თ. ლეიუსი გამოდიოდა. მაგრამ საქმე ვერც ამან უშველა. ვეტერანმაც დებიუტანტის მსგავსად დაკარგა ფარხმალი. რჩებოდა ერთი იმედი: მეტრეველი და მან. ამჯერადაც იხსნა საბჭოთა ნაკრები: საუცხოოდ ჩაატარა შეხვედრა და გუნდს გამარჯვების ტოლფასი ქულა მოუტანა. 6:4, 4:6, 6:3, 6:3. 3:2 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ — ასეთია საბოლოო ანგარიში. შეხვედრის დამთავრებისთანავე მატჩის გმირი, თბილისელი ა. მეტრეველი მეგობრებმა ხელში აიტაცეს. ეს კარგია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ნაკრები ერთობ მძიმე მდგომარეობაშია ამჟამად გუნდის შემადგენლობაში არ არის № 2 ჩოგბურთელი, რომელიც მხარში ამოუდგებოდა სსრ კავშირის პირველ ჩოგანს. ევროპული „ბ“ ზონის ფინალში ხომ სსრ კავშირის მეტოქე არანაკლებ ძლიერია. განა შეიძლება ყოველთვის ერთი კაცის იმედით ვიყოთ?

ახლა ჩვენი მეტოქის, გფრ-ის ნაკრების შესახებ. გერმანელმა ჩოგბურთელებმა ნახევარფინალური შეხვედრა ბელგიელებს ვადამდე მოუგეს: უკვე ორი დღის შემდეგ მატჩის ანგარიში იყო 3:0 გერმანელთა სასარგებლოდ: ვ. ბუნგერტმა დაამარცხა ჯ. ხომბერგენი — 6:2, 6:1, 8:6, 6:3, კ. კუნკელ — ე. დროხარტი — 6:4, 6:2, 6:3, კუნკელ და ბუდინგმა — ხომბერგენი და დროხარტი — 4:6, 6:3, 7:5, 4:6, 10:8.



ა. მეტრეველი. შ. შანიძის მეგობრული შარჟი.

მოგაგონებთ, რომ სსრ კავშირის ნაკრები დევისის თასის გათამაშების პროგრამაში ევროპული ზონის ფინალურ შეჯიბრებებში ორჯერ შეხვდა გფრ-ის ნაკრებს: პირველად 1964 წელს, როცა დამარცხდა ანგარიშით 1:4, ხოლო მეორედ 5 წლის შემდეგ, როცა გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. რიგით მესამე ფინალური შეხვედრა გერმანელებთან ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

14 ივნისს მოსკოვში კავშირების სახლში გაიმართა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომაზე მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. ერმილოვის ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში კენჭისყრის მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო დილის 6 საათზე ადგილობრივი დროით. კენჭისყრა მიმდინარეობდა ორგანიზებულად. 14 ივნისის დღის 12 საათისათვის საარჩევნო უბნებში გამოცხადდა ამომრჩეველთა 84,32 პროცენტი, ხოლო საღამოს 6 საათისათვის — ამომრჩეველთა 98,99 პროცენტი. მოკავშირე რესპუბლიკებში საღამოს 6 საათისათვის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო: რუსეთის სფს რესპუბლიკაში — ამომრჩეველთა 98,29 პროცენტმა, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 99.69 პროცენტმა, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 99,34 პროცენტმა, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 99,65 პროცენტმა, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 99,82 პროცენტმა, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 99,51 პროცენტმა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 98.81 პროცენტმა, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 99,40 პროცენტმა, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 99,46 პროცენტმა, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 98,33 პროცენტმა, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში— 99,69 პროცენტმა, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 98,77 პროცენტმა, სომხეთის სს რესპუბლიკაში—98,23 პროცენტმა. თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 98,33 პროცენტმა და ესტონეთის სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა 97,86 პროცენტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველგან მიმდინარეობდა ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში. (საკდესი).

მოკრძალებული ნაბიჯი

ბერლინი, 14 ივნისი. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპულ ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა ალმა-ათელმა პედაგოგმა, 23 წლის რეზანცევმა (მეორე საშუალო წონა). საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა ყველა შეხვედრა მოიგო და ვადამდე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. იგი თავისი სახელოვანი თანამემამულის ა. იურკევიჩის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა (მსოფლიოს ჩემპიონი ამჟამად სსრ კავშირის ნაკრებს წვრთნის).

ოქროს მედლები ასევე ვადანდე გაინაღდეს: მსოფლიოს ექსჩემპიონმა უნგრელმა ვარგამ (ქვემსუბუქი წონა), რომელმაც უმაღლესი ტიტული 3-წლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა, და იუგოსლაველმა ვ. ნენადიჩმა (პირველი საშუალო წონა).

შემდეგ გამოვლინდნენ ევროპის დანარჩენი ჩემპიონებიც. საბჭოთა ათლეტებმა ამჯერად მხოლოდ ოქროს 2 და ბრინჯაოს 1 მედალი მიიღეს. ასეთი მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, ჩვენი ათლეტების შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბერჩეანუ (რუმინეთი), კიროვი (ბულგარეთი), ვარგა (უნგრეთი), ველინგი, ბეპფერტი (ორივე — გდრ), იგუმენოვი (სსრ კავშირი), ნენადიჩი (იუგოსლავია), რეზანცევი (სსრ კავშირი), სვენსონი (შვეცია), ბოკი (გფრ).

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ოლზოევმა. ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან პირველ ექვსეულში მოხვდნენ: ტოპოროვი, კოზნეკი (ორივე — IV ადგილი), დავიდიანი, კოზინი და მერკულოვი (სამივე — VI ადგილი).

ჰოკეი — ზაფხულში

გაიკვირვებს მკითხველი და იტყვის: სად ზაფხული და სად ჰოკეი? მაგრამ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ბალახის ჰოკეიზე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში „მეფობს“ სამხრეთის ქვეყნების სტადიონებზე. ივნისიდან აგვისტომდე გაიმართება ეროვნული ჩემპიონატები, სექტემბერში — ევროპის, დეკემბერში — აზიის ჩემპიონატები.

ჩვენთან საკავშირო ჩემპიონატი სტარტს აიღებს 26 ივნისს ოთხ ქვეჯგუფში — მოსკოვში, ერევანში, სიზრანსა და პერეიაპლასლავში. 18 სექტემბერს დაიწყება კონტინენტის ჩემპიონატი, რომელშიც გამოვა ავსტრიის, ბელგიის, გფრ-ის, დანიის, ესპანეთის, ირლანდიის, ინგლისის, იტალიის, პოლონეთის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ფინეთის, უელსის, უნგრეთის, შვეიცარიის, შოტლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის ნაკრები გუნდები.

ევროპის 4 უძლიერესი გუნდი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც გაისად თებერვალში გაიმართება ლახორში (პაკისტანი).

ჯუჯინ...

მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ითამაშეს მოსკოვის „სპარტაკისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ კოლექტივებმა. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

ჩვენ ამბავს რესპუბლიკებში



იაროსლავლის ოლქი. უგლიჩის საათების ქარხანაში წარმატებით ჩაბარა გამოცდა ახალმა სპორტულმა საათმა „ამფიბიამ“, რომელიც ამ საწარმოში შეიქმნა. უკვე გამოუშვეს ახალი პროდუქციის პირველი პარტია.

სურათზე: კონსტრუქტორი გ. საპოჟნიკოვი გამოცდის შემდეგ.

ი. დინინის ფოტო.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ერთი სექციის ამბავი

ესტონეთის ქარხანა „ნორმეს“ წყალქვეშა სპორტის ოსტატთა გუნდი სსრ კავშირის უძლიერესი საკლუბო გუნდების თასს ინარჩუნებს...

ამ ქარხნის ყოველი მეათე მუშაკი წყალქვეშა სპორტის სექციაშია გაერთიანებული. საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოებრივ მწვრთნელს, ზენიკალ-ინსტრუმენტალისტს რუდი სიმერს.

— თავდაპირველად სექციაში მხოლოდ ორნი ვიყავით — მე და ჩემი საუკეთესო თანამშრომელი ველო პრანგელი, — იგონებს სიმერი. — ინვენტარი არ გვყოფნიდა და ჩვენი ხელით ვამზადებდით.

რუდი სიმერი ქარხანაში აქტიურ რაციონალიზატორადაა ცნობილი. სპორტული ინვენტარის შექმნაში ესეც უწყობს ხელს. კერძოდ, მან შექმნა ბრწყინვალე რედუქტორი აკვალანგისტებისთვის, რომლითაც სსრ კავშირის ნაკრების სპორტსმენები სარგებლობენ.

საზოგადოებრივი მწვრთნელი ხშირად ესაუბრება მუშებს, უამბობს მათ წყალქვეშა სპორტზე, აწყობს სპორტსმენთა საჩვენებელ გამოსვლებს. ამიტომ ახალგაზრდობაც დაინტერესებულია სექციის მუშაობით. ახალბედების ოსტატობა სწრაფად იზრდება. მაგალითად, ელენა ლემბერგს ადრე სულ არ შეეძლო ცურვა, ერთი წლის მანძილზე ვარჯიშის შემდეგ კი სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ქარხანაში უკვე ეწყობა შეჯიბრებები საამქროებს შორის. სხვათა შორის, სპორტის სიყვარულ მწვრთნელმა თავის პატარა ბიჭებსაც ჩაუნერგა. ისინი ხშირად დაჰყვებიან მამას აუზზე, რათა წყალქვეშა სპორტის საიდუმლოებას გაეცნონ.

საზოგადოებრივმა მწვრთნელმა რ. სიმერმა აღზარდა ევროპის ჩემპიონები ილა რაუდაკი და ულვ ინდრიკსონი, ვერცხლის ბრონზეული ვ. პრანგელი.

ბ. იასტრებოვი,

(საკდესის კორ.).

ტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაგი ტრაეული...

უნგრეთისა და საქართველოს მოზარდ ტანმოვარჯიშეთა მეგობრობას შორაან ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ქართველი ხპორტსმენები ბუდაპეშტს ეხტუმრნენ და ამხანაგური მატჩი გამართეს მასპინძლებთან.

შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილების წარმატებით აღინიშნა. პირად ჩათვლაში ჭაბუკთა შორის პირველობა დაიპაკუთრა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ა. ნოზაძემ. გოგონათა შორის თავი ისახელა ბათუმელმა სპორტის ოსტატმა რ. სიხარულიძემ. უნგრელმა სპორტსმენებმა სტუმრებს გულთბილად მიულოცეს წარმატება და აღუთქვეს, გაიხად აუცილებლად გესტუმრებითო.

ისინე თავიანთი სიტყვის ერთგულნი აღმოჩნდნენ და ამ დღეებში თბილისს ეწვივნენ.

შეგობრების ამხანაგური შატჩი ჭაბუკთა შეჯიბრებით დაიწყო. კარგად აიღო ხტარტი უნგრელმა ლ. მოლნარმა, რომელმაც თავისუფალ ვარჯიშში და ტაიგზე ერთნაირი შეფასება — 9,2 ქულა მიიღო. ამასთან, მან კომბინაციები თანამედროვე სტილში და მაღალ დონეზე შეასრულა. ორი ვარჯიშის ჯამში მოლნარი 18,4 ქულით III ადგილზე იყო.

ხსპარეზობას სათავეში ქართველი ოსტატები მოექცნენ. გ. ლოლაძემ თავისუფალი ვარჯიშის შესრულებაში 9,25 ქულა მიიღო, ტაიგზე — 9,55, და 18,8 ქულით ლიდერი გახდა. ა. ნოზაძე 18,75 ქულით (9,35 და 9,4 ქულა შესაბამისად) მეორე იყო. ამ უკანასკნელმა ეფექტურად შეასრულა რგოლებზე ვარჯიში, ყველაზე მაღალი შეფასება — 9,5 ქულა მიიღო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. შემდგომში სტაბილური მაჩვენებლებით (ხტომები — 9,4, ორძელი — 9,45, ღერძი — 9,6) მან 56,8 ქულა დააგროვა და წლეულსაც I ადგილი დაისაკუთრა.

ბუდაპეშტის ტურნირში ლოლაძემ II ადგილი დიკავა, ამჯერად კი რგოლებზე ვარჯიშისას მან შეცდომა დაუშვა (8,9 ქულა) და წინ გაუშვა უნგრელი მოლნარი (55,95 ქულა), რომელსაც ქართველი სპორტსმენი 0,3 ქულით ჩამორჩა. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ, აგრეთვე, მ. კვინიკაძეს — 54,3, პ. შამუგიას — 54,15 (ორივე — საქართველო), და ზ. მადორს — 54,1 (უნგრეთი). გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ჭაბუკებმა 276,0 ქულა დააგროვეს და 6,1 ქულით აჯობეს სტუმრებს.

გოგონათა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად გამოვიდნენ მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში ნაცადი ოსტატები — თბილისელი ნ. დრონოვა და ბათუმელი რ. სიხარულიძე. კარგი იყო სიხარულიძის თავისუფალი ვარჯიში. მიუხედავად ურთულესი იელეთებისა და უძნელესი კომბინაციების სიმრავლისა, რუსუდანის ვარჯიში ქალური სინარნარის, სინატიფისა და ეროვნული კოლორიტის საუკეთესო ნიმუში იყო, რაც მაჯთა მაღალმა შეფასებამ (9,9 ქულა) დაადასტურა კიდეც. თავისუფალ ვარჯიშში მოპოვებულ გამარჯვებას სიხარულიძემ კიდევ ორი პირველი ადგილი მიუმატა (დვირი — 9,65, ხტომები — 9,45). საბედისწერო გამოდგა რუსუდანისთვის ორძელი. ერთ-ერთი კომბინაციის შესრულებისას იგი იარაღიდან ჩამოვარდა. დაშავებულმა გოგონამ მაინც დიდი შეუპოვრობა გამოავლინა და ვარჯიში დასრულა, მაგრამ დაბალმა შეფასებამ (8,4 ქულა) იგი საბოლოო ჯამში II ადგილზე მოაქცია (37,4 ქულა). I ადგილი 38,35 ქულით დაისაკუთრა დრონოვამ, რომელმაც შესრულების მაღალი ოსტატობა გამოავლინა.

III საპრიზო ადგილს ერთდროულად ოთხი სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს. ი. ვიბერის, ა. კერის (ორივე — უნგრეთი), ჭ. კობერიძისა და ე. ბოგოლიუბოვას (ორივე — საქართველო) ჭიდალში წარმატება ვიბერს ხვდა — 36,85 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის გოგონებმა.

ი. იუნაევი.

სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრებმა ავსტრიაში ძეთთხედ დაისაკუთრეს ევროპის ჩემპიონთა წოდება. მათი საშობლოში დაბრუნების შემდეგ აას-ის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა მსოფლიოს ექსჩემპიონს მიხეილ ტალს.

მიხეილ ტალი: იმედები და პროგნოზები

● როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა შეჯიბრების დამთავრებამდე უკვე ერთი ტურით ადრე გაიხადა პირველი ადგილი. მაგრამ ხომ არ იყო რაიმე გართულება ტურნირის მსვლელობის დროს?

— ჩვენთვის არა! გუნდი კარგ განწყობილებაზე იყო და კარგადაც იბრძოდა — ავსტრიაში უკეთ თამაშობდნენ ის მოჭადრაკეებიც კი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ არც თუ სასურველ ფორმაში იყვნენ. მე ვგულისხმობ კორჩნოის, პოლუგაევსკის, ნაწილობრივ პეტროსიანს. კორჩნოიმ, მაგალითად, საინტერესო პარტია მოუგო იგორს. პოლუგაევსკიმ დამაჯერებლად დაამარცხა მატულოვიჩი. სხვათა შორის, პოლუგაევსკი ერთადერთი იყო გუნდში, რომელმაც შვიდივე პარტია ითამაშა. ამასთან, მან თავად ითხოვა ეს, რადგან უნდოდა რაც შეიძლება მალე „ვამოსულიყო" ცუდი ფორმიდან.

ბრწყინვალედ ითამაშა კერესმა. სუთი გამარჯვება, სუთივე ერთიმეორეზე უკეთესი! კარგად გამოვიდა ბალაშოვი, რომელმაც საუკეთესო დამცველადაც გაგვაცო თავი.

● რით ავხსნათ, რომ იუგოსლავიის ძლიერმა გუნდმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავა?

— ის ამბავი, რომ II ადგილი უნგრეთის გუნდს ხვდა, სენსაცია არ გახლავთ. უნგრეთის ნაკრები თავისთავად ძლიერი კოლექტივია და იგი ძალიან სერიოზულად მოემზადა შეჯიბრებისთვის. იუგოსლავიელები კონტინენტის ჩემპიონატს გულგრილად მოეკიდნენ და ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით არ ჩამოსულან. თუ საბჭოთა გუნდმა შეიძლება ასეთი ნებივრობის უფლება მისცეს თავს, იუგოსლავიელებზე მატანოვიჩის, ჩირიჩისა და დამიანოვიჩის არყოფნამ გარკვეული გავლენა მოახდინა.

● ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მოგცეთ რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც ევროპის პირველობას არ ეხებიან, მაგრამ ჭადრაკის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევენ. გავრცელდა ხმა, რომ ამერიკელ დიდოსტატს ფიშერს საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობა სურს. რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს და აქვს თუ არა ფიშერს საზონათშორისო ტურნირში გამოსვლის უფლება, თუ წინასწარ ზონალურ შეჯიბრებაში არ ითამაშა?

— ფიშერს რამდენიმე წელია არ უთამაშია ტურნირებში, ახლა კი ჭადრაკს დაუბრუნდა. მისი შედეგები ბულგარეთში, ზაგრებში, თუ გნებავთ, „საუკუნის მატჩის" შემდეგ გამართულ ბლიც-ტურნირში მოწმობენ, რომ პრაქტიკული მუშაობისგან დიდი ხნით მოწყვეტას ამერიკელი დიდოსტატის სპორტულ ფორმაზე გავლენა არ მოუხდენია. მან განაცხადა, რომ საზონათშორისო ტურნირში თამაში სურს. მართალია, ფორმალურად ფიშერს ამის უფლება არ აქვს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ამერიკის ჭადრაკის ფედერაციამ შეცვლა მოახდინოს. და თუმცა ფორმალურად არც ასეთი შეცვლაა მიღებული, არ გამიკვირდება, თუ ფიშერისთვის გამონაკლისს დაუშვებენ.

● დარწმუნებული ხართ, რომ ფიშერი ამ ტურნირში ბოლომდე ითამაშებს?

— დიახ, დარწმუნებული ვარ. ფიშერს წლები მოუმატა და ალბათ ადარ გაიმეორებს „ტუნისის ვარიანტს", როცა იგი გაუგებარი მიზეზებით გამოვიდა საზონათშორისო ტურნირს.

● როგორ აფასებთ ფიშერის, ლარსენის, პორტიშის, მორტის შანსებს მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის მომავალ ციკლში?

— ეს შანსები საკმაოდ მაღალია. ყოველ შემთხვევაში, არ გეგონოთ, რომ პირველი ორი პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილე უეჭველად იქნება. ამასთან, სულაც არ ვფიქრობ რაიმე წინასწარი დასკვნები გავაკეთო „საუკუნის მატჩისა" და ზაგრების საერთაშორისო ტურნირის შედეგებზე დაყრდნობით. საქმე ისაა, რომ ბელგრადში საბჭოთა გუნდის წევრები — პოლუგაევსკი, კორჩნოი და პეტროსიანი აშკარად არასასურველ ფორმაში იყვნენ.

პასუხი ვერც ზაგრების ტურნირმა გაგვცა, რომელშიც ჩვენმა მოჭადრაკეებმა უფრო იღბლიანად ითამაშეს. თითქმის ათი წლის წინ ხომ ფიშერმა სულ იოლად დაიკავა პირველი ადგილი სტოკჰოლმის საზონათშორისო ტურნირში.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფიშერი და ლარსენი ტურნირებში, განსაკუთრებით შერეული შემადგენლობის შეჯიბრებებში, როგორც წესი, მხოლოდ პირველი ადგილისთვის იბრძვიან, ჩვენს მოჭადრაკეებს კი მწვავე „შინაგანი" კონკურენციისა და განუწყვეტელი შესარჩევი შეჯიბრებების პირობებში ცოტა ფრთხილად თამაშის ჩვევა გამოუმუშავდათ. ეს ჩვევა საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში გვეხმარება, მაგრამ პირველ ადგილზე გასვლაში კი აშკარად ხელშემშლელია.

პრეტენდენტთა მატჩი სულ სხვა შეჯიბრებაა. აქ მონაწილეს ხელს აძლევს მხოლოდ გამარჯვება, II ადგილი უკვე მარცხს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, რომ პრეტენდენტთა მატჩებში ვერც ფიშერი, ვერც ლარსენი და პორტიში ფინალამდე ვერ მივლენ. თუ ფიშერს ფინალის გზაზე, ვთქვათ კორჩნოისთან ან პეტროსიანთან მოუხდა შეხვედრა, იგი ჩემი აზრით, მისთვის უკეთეს შემთხვევაში ერთ-ერთ დიდოსტატს აჯობებს, მაგრამ ორივეს ვერ დაამარცხებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ფიშერი რომელიმე ჩვენს წამყვან დიდოსტატს ჩამორჩება, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ იგი რომელიმე მბთვანზე ძლიერია.

● ახალგაზრდა ოსტატებიდან ვის დაასახელებთ მათს რიცხვში, ვინც შეძლებს შემდეგში საბჭოთა დიდოსტატებს დაეხმაროს მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში?

— უყოყმანოდ გიპასუხებთ: ბალაშოვსა და კარპოვს! ვფიქრობ ეს ორი მოჭადრაკე უახლოეს მომავალში წამყვანი საბჭოთა დიდოსტატების რიგში ჩადგება.

● ბოლო შეკითხვა: ბევრ ჭადრაკის მოყვარულს აინტერესებს, როგორ წარიმართება შემდგომ მიხეილ ტალის ხპორტული გზა. სსრ კავშირის ჩემპიონატში წარუმატებლად გამოსვლის შემდეგ თქვენ ოპერაცია გადაიტანეთ და მერე ხანმოკლე ოპტიმისტური აზრები გამოთქვით ხაკუთარ საჭადრაკო გეგმებზე. ხომ არ შეგიცვლიათ შეხედულება?

— არა, რასაკვირველია! თუმცა, ამ უკანასკნელ ხანს არც ერთ მნიშვნელოვან ტურნირში არ მითამაშია. პირველივე საპასუხისმგებლო ინდივიდუალური შეჯიბრებები უფლებას მომცემს განსაზღვრო, რა ძალით ვითამაშობ ამჟამად.

● იქნებ ასეთი შეჯიბრება სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი იყოს?

— სავსებით შესაძლებელია, თუ მიმიწვევენ, რა თქმა უნდა. ვინაიდან ევროპის გუნდურ პირველობაში გამოვდიოდი, ნახევარფინალში ვერ ვითამაშე. ვფიქრობ მე, როგორც გუნდის სხვა წევრებს, ამ შემთხვევაში სავსებით საპატიო მიზეზი მქონდა. ასეა თუ ისე, მე კმაყოფილებით ვითამაშებდი სსრ კავშირის ჩემპიონატში, რადგან ეს ტურნირი ჩვენს უაღრესად საინტერესო საჭადრაკო ეპოქაში ყველაზე რთულ შეჯიბრებებად უნდა მივიჩნიოთ.

... ინფორმაცია

ახალინძა

სამ დღეს გრძელდებოდა ასპინძის რაიონის სოფლის სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. გამარჯვებისთვის ბრძოლნენ შვიდი საშუალო და ექვსი 8-წლიანი სკოლის კოლექტივები. პირველობა სამ ასკობრივ ჯგუფად ტარდებოდა. გამარჯვა იდუმალის 8-წლიანი სკოლის გუნდმა. მეორე ადგილზეა ოშორის საშუალო სკოლის, მესამეზე — დამალის საშუალო სკოლის კოლექტივები.

ზ. თურქაძე,
„კოლმეურნეს" რაიასბჭოს თავმჯდომარე.

• • •

ჩატარდა რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრება. სარბიელზე გამოვიდნენ სკოლების, საწარმო-დაწესებულებების და კოლმეურნეობების გუნდები.

საერთო I ადგილი დაიკავეს სოფელ იდუმალის სპორტსმენებმა. II ადგილზეა ასპინძის საშუალო სკოლის გუნდი, III — სოფელ ოშორის კოლექტივი.

ვ. ციხაძე,
ასპინძის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

წითელი წყაროს

ჩატარდა რაიონის სოფლის სპორტსმენთა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში თავი ისახელეს ა. ჩიბუსაშვილმა და ვ. გუმაშვილმა. გუმაშვილმა ბირთვის კვრაში რაიონის რეკორდი დაამყარა. შუბის ტყორცნაში პირველ ადგილზე გავიდა ზემომაჩხაანელი დ. უოჩიაშვილი — 49,50 მეტრი.

გუნდურ ჩათვლაში გარდამავალი თასი მოიპოვა ზემო მაჩხაანის მძლეოსანთა გუნდმა. მეორე ადგილზეა ზემო ქედის, მესამეზე — სოფელ ჯაფარიძის გუნდი.

ბ. კაკალაშვილი.

ჯილდო — მეორედ!

ორ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს შეზღვაურთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ვოლნიკის" რესპუბლიკური საბჭო შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა: გაუმჯობესდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, იმატა ნაშნოსნებისა და თანრიგოსნების რიცხვმა, ნაყოფიერად საქმიანობენ კალათბურთელთა, ნიჩბოსანთა, წყალბურთელთა, მოჭიდავეთა და სხვა სახეობების წარმომადგენელთა ნაკრები გუნდები.

საქართველოს ვოლნიკელებმა შარშან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმახურეს.

ამას წინათ მოსკოვიდან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა: ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე მ. ბალაბანი „ვოლნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს საკავშირო შეჯიბრებაში მეორედ გამარჯვებას ულოცავდა.

ო. მურვანიძე.

ᲥᲔᲡᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲑᲘ

● ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 14 ივნისი. მეგობრული არმიების ტანმოვარჯიშეთა აქ გამართულ ჩემპიონატში წარმატებით ისპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომელთაც ცალკეულ იარაღებზე 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. ოქროს ლაურეატები გახდნენ ვ. კლიმენკო (ორძელი, ხტომები) და ვ. ლისიცკი (ტაიგი).

● ᲠᲐᲢᲒᲘᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ (ᲒᲤᲠ), 14 ივნისი. აკადემიურ ნიჩბოსანთა ტრადიციულ რეგატაში რვაადგილიანებით რბოლაში უძლიერესი იყო საბჭოთა გუნდი — 5.58,34. II ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის — 5.58,64, III — უნგრეთის ნიჩბოსნებმა — 5.58,95.

● ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 14 ივნისი. კენტის საგრაფოს ჩემპიონატში მოსკოველი ჩოგბურთელი ო. მოროზოვა ფინალში დამარცხდა ამერიკელ ჯ. ჰოგენთან — 1:6, 3:6. საბჭოთა სპორტსმენმა ნახევარფინალში მოუგო კ. მოულეტსოორტს (აშშ) — 6:8, 6:2, 6:3. ქალებში უძლიერესი იყო ამერიკელი კ. გრებნერი.

● ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 14 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში თბილისელი გ. გუდაშვილი მესამე ბადრის ტყორცნელთა შორის — 57,30 მ. გაიმარჯვა მასპინძელთა წარმომადგენელმა ფ. ტეგლამ — 61,40 მ. მეორე უნგრელმა სპორტსმენმა გ. ნეშეტმა ჩინებულად ტყორცნა შუბი — 85,90 მ.

● ᲡᲝᲤᲘᲐ, 14 ივნისი. ბულგარეთისა და პოლონეთის მძლეოსან ქალთა მატჩში სტუმრმა ი. ბალახოვსკამ 400 მეტრზე რბენაში 45,8 წამი აჩვენა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში. ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენეს პოლონელმა სპრინტერებმა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 39,7.

● ᲔᲓᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘ, 14 ივნისი. ბრიტანეთის თამაშებში ახალი მსოფლიო მიღწევის ავტორები გახდნენ ინგლისელი მძლეოსანი ქალები — ლ. ბოარდი, შ. კერი, ჯ. ლოუ, რ.—მ. ხტრილინგი. მათ 4×800 ესტაფეტაში 8.27,0 აჩვენეს. დ. ტეილორმა (ინგლისი) 5.000 მეტრის გარბენას 13.26,2 მოანდომა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● ᲕᲘᲐᲠᲔᲯᲘᲝ, 14 ივნისი. იტალიის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში ახალგაზრდა ამერიკელმა ბ. ვოიხნმა 100 მეტრი 10,1 წამში გაირბინა. ასეთივე შედეგით მეორე იყო მსოფლიო რეკორდის „თანამზიარე" ჩ. გრინი (აშშ).

● ᲐᲗᲔᲜᲘ, 14 ივნისი. დასავლეთგერმანელმა ვ. ტრიუმილმა ყველას აჯობა 110 მეტრზე თარჯრაენში. მისი შედეგი — 13,7 წამი საუკეთესოა წლეულს ევროპაში. ოლიმპიურმი ჩემპიონმა ბ. ბიმონმა სიგრძეზე ხტომაში 791 სმ აჩვენა. ეს მოხდა სანერძნეთის დედაქალაქში, მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში.

● ᲙᲐᲠᲚ-ᲛᲐᲠᲥᲣ-ᲨᲢᲐᲓᲢ, 14 ივნისი. გდრ-ის მძლეოსან სტუდენტთა შეჯიბრებაში 21 წლის ჰ. ბრეზენციმა ბირთვი 20 მეტრსა და 39 სანტიმეტრზე ჰკრა.

● ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ (აშშ), 14 ივნისი. წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ამ ქალაქში გაიმართა მძლეოსანთა ტრადიციული ფესტივალი. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეთსონმა ბირთვი 20 მეტრისა და 41 სანტიმეტრზე ჰკრა. 3 მილზე რბენაში ავსტრალიელმა კ. ო'ბრაიენმა დაამარცხა თავისივე თანამემამულე, მსოფლიო რეკორდსმენი რ. კლარკი. გამარჯვებულის დროა 13.10,9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილა, ჯილა ქალი ცაკვეგა!!

როცა მატჩის დამთავრებას სამი წუთი აკლდა...

მეხიკო, 14 ივნისი. მეოთხედ მონაწილეობენ საბჭოთა ფეხბურთელები მსოფლიო პირველობაში და ამდენჯერვე გადიან მეოთხედფინალში. 1966 წელს, ინგლისში, გუნდმა უფრო წინ წაიწია და III ადგილისთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვა. სხვა შემთხვევებში კი მეოთხედფინალური ეტაპი, როგორც წესი, დაუძლეველი იყო ჩვენთვის.

ასე მოხდა ახლაც, 14 ივნისს მეხიკოში, მაგრამ ამ დაუძლეველობას საფუძვლად დაედო მსაჯების შეცდომა, რომლებმაც დამატებითი დროის 27-ე წუთზე ვერ შეამჩნიეს თუ როგორ გაცდა ბურთი პირით ხაზს, არ მოახდინეს მისი ფიქსირება, რის შედეგადაც ჩვენი გუნდის კარში გატანილ იქნა ერთადერთი, გადამწყვეტი გოლი.

მეოთხედფინალში, რომელიც მეხიკოში, „აცტეკის“ სტადიონზე შედგა, საბჭოთა გუნდის მეტოქე იყო ურუგვაის ნაკრები. ადრე ეს ორი გუნდი ხუთჯერ შეხვედრია ერთმანეთს და ხუთივეჯერ გამარჯვება საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ მოპოვებული. ბურთების საერთო შეფარდებით 13:3. ამჯერად, ამ გადამწყვეტ მატჩში ჩვენი გუნდის ეს უპირატესობა არ იგრძნობოდა, პირიქით, საერთო ინიციატივა ურუგვაელებს ჰქონდათ, ამას დაერთო მსაჯების შეცდომაც.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო თამაში: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, აფონინი, ხურცილავა, ასათიანი, მუნტიანი, ევრიუჟინი, ბიშოვეცი, ხმელნიცკი. ურუგვაის ნაკრებში იყვნენ: მაზურკევიჩი, კუბილა, ანჩეტა, შატოსანი, მუიკა, კასტელო, კორტესი, მინეირო, კუბილა, ფონტესი, ფორალესი. მსაჯობდა ბელგიელი ვან რავენსი.

ფეხბურთის მოყვარულებმა ტელევიზიით ნახეს ეს მატჩი, ამიტომ აღარ შევუდგებით მის ხელახლა აღწერას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი მოთამაშეები ვერ იდგნენ სასურველ სიმაღლეზე. ჯერ ერთი, მათ მატჩი დაიწყეს ნელ ტემპში, დაყოვნებებით. ხშირი გადაცემებით მინდვრის შუაგულში, ეურიშის დაგვიანებით, და მერე — უამრავი შეცდომა ხდებოდა გადაცემებისას. შეტევა სისტემატურად წყდებოდა იმის გამო, რომ ხშირად სრულიად ელემენტარულ სიტუაციაშიც კი, ხელსაყრელ მდგომარეობაში ფეხბურთელები მეტოქეს აძლევდნენ ბურთს და უნდებოდათ უკვე დაწყებული საქმის ხელმეორედ დაწყება. უმთავრესი საყვედური ეთქმით თავდასხმელებს, რომლებიც მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე იჩენდნენ აქტიურობას და საშუალებას აძლევდნენ ურუგვაელთა მცველებს საიმედოდ ჰქონოდათ ჩაკეტილი კარის მისადგომები. მართალია, მეკარე მაზურკევიჩს არაერთხელ დასჭირდა თავისი მაღალი ოსტატობის დემონსტრირება, მაგრამ ეს უმთავრესად მინდვრის ხიღრმიდან წამოწყებული იერიშების შედეგი იყო. ევრიუჟინინი პარტნიორებისგან იზოლირებული აღმოჩნდა და მოპირდაპირე კარისთვის არავითარ ხიფათს არ ქმნიდა. ბიშოვეცი ამოვარდნილი ჩანდა საერთო კოლექტიური სქემიდან, ხმელნიცკის ჯერ კიდევ დასაწყისშივე მიეცა აგვარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ სულ რამდენიმე მეტრის მანძილიდან აცილა ბურთი მიზანს. საბჭოთა გუნდიდან აღნიშვნის ღირსნი არიან შესტერნიოვი, რომელიც არა მარტო დაცვის ბურჯი იყო, არამედ კონტრშეტევების წამომწყებიც და კავაზაშვილი, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს მატჩი, ბევრჯერ გადაარჩინა თავისი გუნდის კარი სიფათს. თამაშის მსვლელობაში ასათიანი შეცვალა კისელიოვმა, ხოლო ხურცილავა — ლოგოფეტმა, მაგრამ ამ ცვლილებებს სარგებელი ჩვენი გუნდისთვის არ მოუტანია. პირიქით, ურუგვაელები მატჩის დასასრულისთვის უფრო ენერგიულად და მობილიზებულად გამოიყურებოდნენ, საერთო კონტროლი ბურთზე მათი იყო.

მატჩის ძირითად დროს შედეგი არ მოუცია — 0:0. ასევე დამთავრდა დამატებითი დროის პირველი ნახევარი, ხოლო როცა შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა და ძალაში, თითქოს, დებულების ის პუნქტი უნდა შესულიყო, რომელიც მეოთხედფინალური თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში კენჭისყრით გულისხმობს გამარჯვებულის გამოვლენას, მოხდა ასეთი რამ: მარცხენა ფლანგზე გარღვევა შესასრულა ესპარაგომ (მან მორალური შეცვალა). მისი აფონინთან ბრძოლაში ბურთმა გადაკვეთა პირითი ხაზი, აფონინიც და მასთან ერთად კარიდან წინ გამოსული კავაზაშვილიც მსაჯის სიგნალის მოლოდინში შეყოვნდნენ. ვან რავენსმა სასტვენი არ მისცა და ესპარაგომ ძნელი მდგომარეობიდან, მახვილი კუთხით, ზუსტად დაარტყა კარის შორეულ კუთხეში. კავაზაშვილი ვერ მიწვდა ბურთს — 1:0.

საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელობამ ამ ინციდენტის გამო პროტესტი შეიტანა მთავარ სამსაჯო კოლეგიაში, მაგრამ პროტესტი არ მიიღეს და მატჩის შედეგი ძალაში დატოვეს.

სტატისტიკა

● **მეოთხედფინალური** მატჩები იჭრის ქალდმერთისთვის ბრძოლაში მუდამ მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა. ასე იყო მექსიკაშიც, სადაც ოთხ მეოთხედფინალურ მატჩში სულ 17 ბურთი იქნა გატანილი, ერთით მეტი, ვიდრე ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში.

● **ნახევარფინალში** მონაწილე გუნდებს შორის ხამმა თავის ქვეჯგუფში 1 ადგილი დაიკავა. ესენი არიან: ბრაზილია, იტალია და გფრ.

● **ოძროს** ქალდმერთისთვის ბრძოლას განაგრძობენ: II ჯგუფიდან — 2 გუნდი (იტალია, ურუგვაი), III ჯგუფიდან — 1 (ბრაზილია), IV ჯგუფიდანაც — 1 (გფრ). და მხოლოდ 1 ჯგუფის გუნდებს არ დარჩათ ადგილი ნახევარფინალში.

● **ყველაზე** უხვმოსავლიანი შეხვედრა მეოთხედფინალში ბრაზილიისა და პერუს ორთაბრძოლა იყო. მეტოქეებმა 6 გოლი გაიტანეს. 5-5 გოლი გავიდა იტალია—მექსიკისა და გფრ—ინგლისის ფეხბურთელთა მატჩებში და მხოლოდ 1 — სსრ კავშირ — ურუგვაის ორთაბრძოლაში.

● **ევროპა** და ლათინური ამერიკა კვლავ თანაბრად არიან წარმოდგენილი ჩემპიონატის შემდგომ ეტაპში — ნახევარფინალში. ევროპის ღირსებას დაიცავენ გფრ და იტალია, ლათინური ამერიკისას — ბრაზილია და ურუგვაი.

● **ყველა** ნახევარფინალისტი სხვადასხვა დროს ფლობდა ჟიულ რიმეს თასს. ბრაზილია, იტალია და ურუგვაი ამ ჯილდოს ორ-ორგზის მფლობელები არიან, გფრ კი — ერთგზის.

● **ნახევარფინალისტთა** შორის 4 კალენდარული მატჩის შემდეგ ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ქონია გფრ-ს — 13 გოლი. შემდეგ მოდიან: ბრაზილია — 12, იტალია — 5, ურუგვაი — 3. ამ კვარტეტში ყველაზე ცოტა ბურთი გაუშვეს იტალიელებმა და ურუგვაველებმა — 1-1. ბრაზილიელთა კარი 5-ჯერ იქნა აღებული, გერმანელთა კი — 6-ჯერ.



იტალია, ბრაზილია, გფრ...

იტალია — მექსიკა 4:1. ძნელი ასაწერია ის წარმოუდგენელი აჟიოტაჟი, რომელიც ტოლუკას სტადიონზე სუფევდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონატის მასპინძლებმა — მექსიკელებმა გახსნეს ანგარიში იტალიელებთან შეხვედრაში. საყოველთაო სიხარულის საბაბს ისიც იძლეოდა, რომ იტალიის ნაკრებს მანამდე 3 მატჩში სულ ერთი, იბოლი გოლი ჰქონდა გატანილი და ასეთი მოკრძალებული შედეგიანობით გუნდს ვეღარ უნდა მიეღწია წარმატებისთვის.

მაგრამ „გვალვა“ იტალიის გუნდის საიერიშო გეგმაში მოთავდა. სულ მალე დომენგინიმ გაქვითა გოლი — 1:1, ხოლო მეორე ტაიმში რივამ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. დარჩენილ დროში ჯერ რივამ, შემდეგ რივერამ დამატებით გაიტანეს 2 გოლი და იტალიელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:1. მექსიკა გათამაშების მიღმა დარჩა.

ბრაზილია — პერუ 4:2 (2:1). პერუელთა მწვრთნელმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა დიდიმ მატჩის წინ განაცხადა, რომ წარმატების გარკვეული იმედი აქვს, ვინაიდან კარგად იცნობს თავისი ყოფილი გუნდის მოთამაშეებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კერძოდ, დაცვის სისუსტეებს.

მწვრთნელი სწორი გამოდგა მხოლოდ იმაში, რომ ბრაზილიის ნაკრებას დაცვა უნაკლო არაა, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა მისი თავდასხმის უდიდესი შემტევი ძალა. ბრაზილიელები თავიდანვე დაწინაურდნენ რიველინოსა და ტოსტაოს მიერ გატანილი გოლებით — 2:0. მართალია, გალარდომ 1 ბურთი გაქვითა, მაგრამ ტოსტაომ უფრო წინ გაიყვანა ბრაზილია — 3:1. კუბილასმა ერთხელ კიდევ შეუქმნა პერუს. ნაკრებს ხანის შანსი (2:3), მაგრამ ჟაირზინიომ წერტილი დაუსვა ამ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლას — 4:2.

გფრ — ინგლისი 3:2 (0:1, 2:2, 0:0, 1:0). ამ დღისთვის ორივე გუნდს თანამედროვე ფეხბურთის ორი უმაღლესი წოდება ეპყრა. ინგლისელები ჩემპიონები იყვნენ, გერმანელები — ვიცეჩემპიონები.

შეუძლებელია აღწერო ეს მატჩი და ანალოგია არ გაავლო 1966 წლის 30 ივლისის ფინალურ მატჩთან ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, მაშინ ინგლისელები ჯერ აგებდნენ — 0:1 (ჰალერი), შემდეგ იგებდნენ (ჰერსტი, პიტერსი) და გერმანელებმა ბოლო, 90-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2 (ვებერი). დამატებით დროში ჰერსტმა ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი და ინგლისელები „ოქროს ქალდმერთის“ თასის მფლობელნი გახდნენ.

ბევრი რამ გამეორდა ამ მატჩში, თუმცა, საბოლოოდ პირიქით მოხდა — გამარჯვება გერმანელებს დარჩათ. ეს მით უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მიულერიმ და პიტერსმა 2 „მშრალი“ გოლი გაიტანეს და წინ იყო ინგლისი — 2:0. გფრ-ის ნაკრებმა ამ კრიტიკულ მომენტში თითქმის შეუძლებელი შეძლო, გარდატეხა შეიტანა თამაშში და ბეკენბაუერმა და ზელერმა გათანაბრეს ანგარიში — 2:2. საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. აქ თავი ისახელა მიულერმა — 3:2. ვიცეჩემპიონმა ღირსეული რევანში აიღო, ხოლო ჩემპიონებმა სათამაშო მინდვრიდან ტრიბუნებზე გადაინაცვლეს.



პრიზებიც, სიმპათიებიც

ამას წინათ ნალჩიკში გაიმართა ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების პირად-გუნდური ტურნირი კარტინგებით რბოლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისელი სპორტსმენებიც, რამაც შეაინტერესა კიდევ უფრო საინტერესო გახადა.

პროგრამაში იყო 125 და 175 კმ სმ-ის მოცულობის სიმძლავრის ძრავიანი მანქანებით რბოლა. ორივე სახეობაში ყველას თბილისელმა ავტომობილისტებმა აჯობეს. 175-იანებით იმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა რ. ზუკაიშვილმა, რომელმაც სწრაფად ჭრილების, რთული მოსახვევების დაძლევას შესანიშნავი ტექნიკა გამოიგლინა და ყველა შეტოქეს საგრძნობი უპირატესობით მოუგო. II ადგილზეა რსფსრ-ს ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ტაგანროგელი სპორტის ოსტატი ი. პადალკო, III — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი რ. ციერეაძე.

125-იანებით ყველას აჯობა თ. ხიდაშელმა. მან ჩამოიტოვა 15 მეტოქე, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვ. ბიკოვსკი. ქარგად ასპარეზეს, აგრეთვე, ო. ხარაძემ და ლ. ღლონტმა.

საქართველოს სპორტსმენებმა, საპრიზო ადგილების გარდა, ნალჩიკელ მაყურებელთა სიმპათიებიც დაიმსახურეს კარტინგების ოსტატური მართვით.

ი. ბარანიუკი.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ჯუჯინ...

ჩატარდა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის III წრის მატჩი: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი). გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა“ — 88:84 (54:38).

„ტაიმ-აუტის“ შემდეგ

ქიევი, 15 ივნისი. გუშინ აქ, ადგილობრივი არმიელებისა და ლენინგრადის „სპარტაკის“ მატჩით დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის III წრე.

პირველი ნახევარი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ნევისპირელებმა უპირატესობას მიაღწიეს ტაიმის მიწურულში — 35:32. შესვენების შემდეგ „სპარტაკმა“ მტკიცედ იგდო ხელთ ინიციატივა და გაიმარჯვა ანგარიშით 66:49.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივნისისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22	20	2	1868—1544	20
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	23	17	6	1762—1569	17
„შალგირისი“ (კაუნასი)	22	16	6	1753—1687	16
„სტროიტელი“ (კიევი)	22	16	6	1759—1583	16
„კალევი“ (ტარტუ)	22	13	9	1822—1742	13
„დინამო“ (თბილისი)	22	12	10	1749—1791	12
„დინამო“ (მოსკოვი)	22	12	10	1805—1765	12
ასკ (კიევი)	23	8	15	1639—1688	8
ასკ (რიგა)	22	6	16	1606—1755	6
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	22	6	16	1581—1776	6
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	22	4	18	1603—1798	4
„შრალგაში“ (სვერდლოვსკი)	22	3	19	1620—1879	3

პრიზების პირველი მფლობელნი

კიროვის სახელობის პარკში დამთავრდა თბილისის უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების ტურნირი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე.

ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იყვნენ „დინამოსა“ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან აღნიშნული კოლექტივები სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობენ. სწორედ ამ გუნდების შეხვედრას უნდა გამოერკვია საქართველოს კომკავშირის პრიზის პირველი მფლობელის ვინაობა. მატჩი გაიმართა შეჯიბრების ბოლოსწინა ტურში.

თავდაპირველად ლიდერობა ხელთ იგდეს დინამოელებმა. პირველი 10 წუთის მანძილზე ისინი იყვნენ წინ, 5-6 ქულის სხვაობით, მაგრამ მომდევნო ორ წუთში უპირატესობა გაქარწყლდა — დაწინაურდნენ სტუდენტები — 28-26. ამის შემდეგ მომავალ ინჟინრებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 95:85 (52:41). გამარჯვებულთა ჭორის პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ლ. ჩხიკვაძე. მას კარგად უბამდნენ მხარს გ. ბიჭიაშვილი, ი. პულავსკი და ა. გლურჯიძე.

III ადგილისთვის ბრძოლაში თავისახელა „სპარტაკმა“ (უნდა შევნიშნოთ, რომ სპარტაკელთა გუნდი ძირითადად სპორტკლუბ „სინათლის“ მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული). განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი გამარჯვება თბილისის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელიც ძირითადად დინამოელებით იყო დაკომპლექტებული — 73:61 (42:20). სპარტაკელთა სასტარტო სუთეულში შედიოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მინაშვილი, სპორტის ოსტატები ვ. ლომაძე, ა. კაზანჯიანი, რ. გოველია და ი. ლეფავა. ამ სუთეულმა მართლაც ახალგაზრდული აზარტით ჩაატარა მთელი ტურნირი.

IV ადგილზე გავიდა „მეტრომშენის“ გუნდი. უნივერსიტეტელები V ადგილს დასჯერდნენ.

მეტს მოველოდით ახალგაზრდული ნაკრებისგან, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ დინამოელთა დუბლიორები: ქარაბაქი, ვასიუტინსკი, ქუთათელაძე და სხვები. 5 შეხვედრა — 5 მარცხი, საბოლოოდ — VI ადგილი. ამ მარცხის მიზეზი ძირითადად დაცვის სუსტი თამაშია.

ქალთა ტურნირში, როგორც უკვე ვწერდით, სულ 4 გუნდი მონაწილეობდა. პრიზისთვის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ტურნირის ბოლო დღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდებს შორის. სპი-მ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 74:41 (39:20). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა მჭედლიძემ, რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა. კარგად ითამაშეს აგრეთვე, ახალგაზრდებმა ც. ყიფიანმა, ა. მარქარიანმა, ვ. ტატოკამ და ნ. ტრუშკინამ. საპრიზო სამეულის უკანასკნელი საფეხური დაიკავა სპორტკლუბ „უშბის“ გუნდმა.

ამ ტურნირმა უთუოდ კეთილი სამსახური გაუწია ჩვენს კალათბურთელებს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობა მისასალმებელია, მაგრამ კიდევ უფრთ უკეთესი იქნება, თუ ეს შეჯიბრება ტრადიციად იქცევა და წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჩატარდება.

ფ. ლეონიძე.

* * *

სურათებზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდს საპატიო ჯილდოს გადასცემს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე რ. პოპოვა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

რ. რუხკიანის ფოტო.

ჭკუტჯკეტი, ბოლჯკეტი, კეტოჩკეტი

14 ივნისს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის.

ანგარიში გახსნა „არარატის“ თავდამსხმელმა იშტოიანმა, მაგრამ ამას მოპყვა კოზლოვის მიერ გატანილი 2 ბურთი და მასლოვის მესამე გოლი. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

13 ივნისის ჭატჩში ცსკა-სა და მინსკის „დინამოს“ შორის, რომელიც არმიელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1, მოსკოველთა მხრივ ბურთები გაიტანეს პოლიკარპოვმა (პენალტი), კოპეიკინმა და მასლიაევმა, ხოლო სტუმართაგან — მალოფეევმა (პენალტი). აღსანიშნავია, რომ ეს 11-მეტრიანი ერთადერთია წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც სტუმრების სასარგებლოდ დაინიშნა.



სსრ კავშირის პირველობა

ლიდერი და აუტსაიდერი

14 ივნისს „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის დღე იყო. რუსთავის „მეტალურგმა“ თავის მინდორზე მიიღო ცხინვალის „სპარტაკი“.

ლიდერი და აუტსაიდერი—ესეთი იყო ამ ორი გუნდის სატურნირო მდგომარეობა. მეტალურგებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ და ისიც მინიმალური განსხვავებით შეძლეს ცხინვალელთა დამარცხება, რომლებიც გათამაშების ცხრილში ამ დღისთვის ბოლო მე-18 ადგილზე იმყოფებოდნენ.

პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და გუნდმა წარმატებას უკვე მე-12 წუთზე მიაღწია. ეს მოხდა მაჩაიძისა და ალადაშვილის მიერ გათამაშებული კომბინაციის შედეგად — 1:0.

20 წუთის შემდეგ გაბრიჭიძე გავიდა მცველთა შორის და ძლიერად დაარტყა კარში. სპარტაკელთა მეკარე შარაშენიძემ მოიგერია ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო ალადაშვილმა და მეორედ აიღო სტუმრების კარი.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ცხინვალელი ფეხბურთელები საგრძნობლად გააქტიურდნენ. „მეტალურგის“ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა.

82-ე წუთზე სპარტაკელთა ერთ-ერთი მცველი იძულებული იყო ხელით შეეჩერებინა ცარიელ კარში მქროლი ბურთი, მაგრამ ლობზევის მიერ დარტყმული ბურთი აიღო მეკარე შარაშენიძემ. გავიდა კიდევ 2 წუთი და უხეში თამაშისთვის 11-მეტრიანი დაინიშნა უკვე მასპინძელთა კარში. ჯიჭოველის დარტყმამ ხუსტად მიაღწია მიზანს და „მეტალურგი“ იძულებული იყო დასჯერებოდა მოკრძალებულ გამარჯვებას — 2:1.

რ. ბაბრიჰიძე.

(ტელეფონით ჩვენი კორ.).

2 მეოთხე ადგილი

თანამედროვე ხუთჭიდში „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კარგა ხანია ტარდება, მაგრამ საქართველოს წარგზავნილები ამ შეჯიბრებაში მხოლოდ 1968 წლიდან მონაწილეობენ. წლეულს სტუდენტთა ნაკრებ გუნდებთან ერთად სარბიელზე ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურის ინსტიტუტების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. როგორც ალმა-ათაში გამართულმა შეჯიბრებამ ცხადყო, ეს სახეობა ჯერჯერობით მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიის, უკრაინეთის, საქართველოსა და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტებშია დანერგილი.

ჩვენი რესპუბლიკიდან ორივე ტურნირში მონაწილეობდნენ ა. შეროზია, ნ. ახალშენიშვილი და ზ. ბარიანი (ეს უკანასკნელი ინსტიტუტების პირველობაში ვ. გავრინმა შეცვალა).

— არ მახსოვს, ასეთ დიდ ასპარეზობაში მონაწილეთა უმრავლესობას ცხენოსნობაში ჩათვლა არ მიეღოს. ახლა კი ამ სახეობაში ფიზკულტურის ინსტიტუტების 18 წარმომადგენლიდან მხოლოდ რვამ მიიღო შეფასება, — გვითხრა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, საქართველოს სტუდენტ ხუთჭიდელთა მწვრთნელმა ჯ. ხალდასტანიშვილმა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენებიდან მხოლოდ ახალშენიშვილმა მოიპოვა ქულები (30) და ეს საკმარისი აღმოჩნდა გუნდის II ადგილზე გასვლისთვის.

საქართველოს ხუთჭიდელები ფარიკაობაში V ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ შემდეგ სახეობებში თავგამოდებით იბრძოლეს (სროლა — II ადგილი, ცურვა — I, მძლეოსნური კროსი — III) და საბოლოო გუნდურ ჩათვლაში II საპრიზო ადგილი გაინაღდეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ცურვაში და მძლეოსნურ კროსში ჩვენი რესპუბლიკის ხუთჭიდელები საერთოდ მოიკოკლებენ. ამიტომ ალმა-ათაში მათი შედეგები წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. პირველობა უკრაინელმა ხუთჭიდელებმა მოიგეს. რსფსრ-ს ძლიერი კოლექტივი III ადგილს დასჯერდა.

საქართველოს წარგზავნილებს ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორისაც II საპრიზო ადგილი ხვდათ. ისინი აყაზეთის სპორტსმენებს ჩამორჩნენ, მაგრამ მოსკოველ კოლეგებზე წინ იყვნენ. ასპარეზობის შემდეგ ახალშენიშვილი სტუდენტთა საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს.

თ. გაჩეჩილაძე.



ზონალური

ზუგდიდის დოსააფის საქალაქო კომიტეტის სასროლეთზე ჩატარდა ზონალური პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში. მონაწილეობდნენ ქ. ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობისა და ჩხოროწყუს დოსაააფის რაიონული კომიტეტების ნაკრები კოლექტივები.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ჩხოროწყუს ნაკრებმა (212 ქულა), II ადგილზეა ქ. ზუგდიდის (200), მესამეზე — ხობის რაიონის ნაკრები (172). ვაჟთა შორის იმარჯვა ო. ხარჩილავამ (წალენჯიხა) — 79, ქალთა შორის — ნ. ცირდავამ (ჩხოროწყუ) — 59.

ბ. ალშიბაია.



აბაშა

12 ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ფრენბურთელთა სარაიონო შეჯიბრებაში.

I ადგილი დაიკავა მექანიკური ქარხნის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და „განთიადის“ კოლექტივები.

რ. ბანტურია.

გალი

ქალაქის სტადიონზე ამას წინათ შედგა ფინალური მატჩი ფეხბურთში სარაიონო პირველობაზე მოსწავლეთა შორის.

გალის № 1 სკოლის ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ჭუბურხინჯის გუნდი.

ბ. ჯეჯელია.

ყველაზე ნორჩი ავტომრგოლელი

მსოფლიოში ყველაზე ნორჩი ავტომრბოლელია 8 წლის ინგლისელი მოსწავლე დევიდ სპენსი, რომელიც თავისი მინი-მანქანით საათში 80 კმ-ს ფარავს. დევიდის მამას და მწვრთნელს ჯორჯ სპენსს დიდი სურვილი აქვს თავისი ვაჟი მსოფლიოს უძლიერეს ავტომრბოლელთა შორის იხილოს.

სურათზე: დევიდ სპენსი მამასთან ერთად დარლინგტონის (ინგლისი) მახლობლად მდებარე ტრეკზე.

ფოტო „კვიკ“ — აას-ისა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.